პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (19923) შაბათი, 8 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სამზეო სახელმძღვანელო

მეჩაიის ღვაწლი

დიდ სამამულო ომში გმირულად დაილუპა ლანჩხუთელი ვასილ კვირკველია, დაობდა ექვსი შვილი, ოჯახის მთელი ტვირთი ჯარისკაცის ქვრივს ნადიას დაწვა. ომის დროს ექვსი ობლის რჩენა იოლი არ იყო, მაგრამ დღე და ღამე მოუღლელად შრომობდა დედა, რომ შვილებისათვის სარჩოსაბადებელი არ მოეკლო. მცირეწლოვანებმაც იგრძნეს ოჯახის გასაჭირი და ასე თუ ისე დღენიადაგ იზიარებდნენ თვალცრემლიანი დედის ჯაფას. განსაკუთრებით მუყაითად ირჯებოდა პატარა ნორა, რომელიც ძმიმე შრომას უმსუბუქებდა მას. მაშინ იგი 13 წლისაც არ იყო, მაგრამ ყველას, ოჯახის წევრებსაც და მეზობლებსაც აოცებდათ მისი საზრიანობა და სიბეჯითე.

შვილებს დედა ხშირად შეახსენებდა ხოლმე — ხომ გაგიგონიათ, ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგი გამოცხვაო, გაჭირვებამ ხელი მრუდად არ გაგაწვევინოთ სხვის ჭირნახულზე, მამის პატიოსნებას ვაუფრთხილდითო.

ასე არიგებდა და ალალმართალი შრომის სიყვარულს უნერგავდა ნადია თავის ობლებს..

დრო დიდი მკურნალია, დედის კალთაში პატიოსანი შრომით აღზრდილმა ობლებმა ახალი ოჯახები შექმნეს და ბედნიერად ცხოვრობენ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნორამ თავისი ბედი გულიანელ კალე სარიშვილს დაუკავშირა, ეს იყო 1950 წელი. პატარძალმა საქორწინო ზეიმის მეორე დღესვე გაიხადა სადედოფლო კაბა და დედამთილს, კოლმეურნეობაში სახელგანქმულ მეჩაიეს ვერას გაუყვა პლანტაციაში ფოთლის საკრეფად.

ფოთლის კრეფის სეზონი სეზონს მისდევდა, წლები წლებს, გულიანელთა პატარძალი ნორა სარიშვილი კი ისე დაოსტატდა ფოთლის კრეფაში, რომ არათუ ამ სოფელში, მთელ რაიონში, რესპუბლიკაშიც ცნობილი გახდა. იგი ყოველ სეზონში ფოთლის კრეფის ახალ-ახალ რეკორდებს ამყარებს, ჩვევად ქცეულმის ყოველდღიურ შრომითს საქმიანობაში ნათლად ჩანს მოუღლელი მარჯვენის ძალა. მეოერთმეტე ხუთწლედში 103 ტონა ფოთოლი მოკრიფა, მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში 23 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული აქვს დამზადებული.

ასე გავიდა ფოთლის კრეფის 36 სეზონი. ყველას ვუშინდელივით ახსოვს, როგორ დაოსტატა შრომამ რიგითი კოლმეურნე ქალი. ახლა იგი პენსიონერია. ოჯახში ბევრ საქმეს ეკეთებინა, ბაღჩა, ეზო, ფეხმოსავალი ბილიკები, ბოსელი, ფეხმოსავალი ბილიკები, ბოსელი, ...

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ „ᲮᲔᲚᲬᲔᲠᲘᲗ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ევერია“ ამ დარგის ერთადერთი საწარმოა ამიერკავკასიაში. აქ 115 სახეობის ნაწარმს უშვებენ. ფაბრიკაში დამზადებული ნაირფერი სუნამოები, ოსოსიონები, ოდეკოლონები, კრემები, კბილის პასტები და სხვა სახეობის პროდუქცია მოსწონს მომხმარებელს. აქაური მშრომელები წელიწადში 69 მილიონი მანეთის პროდუქციას უგზავნიან შემკვეთს.

ახლა საწარმოში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. საქმე ის გახლავთ, რომ ფაბრიკა 1961 წელს აშოქმედდა და 1983 წლამდე აქ არც ერთი ავტომატური ხაზი არ შეცვლილა. ამან კი, რა თქმა უნდა, გარკვეული სიძნელეები წარმოშვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და დარგის საკავშირო სამინისტროს ხელმძღვანელობა დაინტერესდა საწარმოს ბედ-იღბლით და შემუშავდა საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პროგრამა. იგი ითვალისწინებს საწარმოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ესე იგი მანქანადანადგარების განახლებას, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას და მოქმედი ციკლების დახვეწას. საწარმოს დიდ დახმარებას უწევს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. დიმიტროველები ფაბრიკისათვის წელიწადში 30 მილიონ ცარიელ ტუბს ამზადებენ და უკვე ტარის სხვა ქალაქებიდან შემოზიდვა აღარ ხდება. „ევერიისათვის“ სოფელ ქსანში ამოქმედდა და აგვისტოდან პროდუქციას გვაწვდის მინის ქარხანა, სადაც დამონტაჟებულია თანამედროვე ტიპის ავტომატიზებული ხაზები და იგი თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკას მთლიანად უზრუნველყოფს ტარით.

ფაბრიკის ტერიტორიაზე უკვე დამთავრდა სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა. მიმდინარეობს საწარმოს ძირითადი კორპუსის რეკონსტრუქცია. აქ განლაგდება კოსმეტიკური წარმოება.

ფაბრიკის დირექტორმა დავით სილაგავამ აღნიშნა, რომ რეკონსტრუქცია დიდად შეუწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, როგორც სკკ XXVII ყრილობაზე ითქვა, ყველა საწარმოს უნდა ჰქონდეს წარმოების უწყვეტი განახლების ზუსტი პროგრამა. ასეთი პროგრამა ჩვენც შევადგინეთ და მისი განხორციელების შემდეგ ფაბრიკა უფრო თავისთავადი გახდება, აქ დამზადებული პროდუქციის მოცულობა 100 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მომხმარებელი, მართალია, იძენს ქართულ სუნამოებს „ფრესკის ღიმილს“, „მხოლოდ შენ ერთს“, „სამაიას“, „აბესალომ და ეთერს“ და სხვა პროდუქციას, მაგრამ მომავალში აქ დამზადებული ნაწარმი უფრო პოპულარული გახდება, თუ საწარმოს კოლექტივი რესპუბლიკაში არსებულ ეთერზეთებს, ციტრუსოვანთა ზეთებს და სხვა კომპონენტებს სრულად გამოიყენებს. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მომხმარებელმა მიიღო ახალი სახეობის სუნამო „დილა“, და ამავე სახელწოდების ოდეკოლონი. ორივე სახეობის პროდუქცია დამზადებულია ციტრუსოვანთა მანდარინის ზეთით.

მომხმარებელს მოსწონს კბილის პასტა „ლუგელა“, რომელსაც სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები აქვს. იგი დამზადებულია მინერალური წყლის „ლუგელას“ ბაზაზე და შეიცავს სხვადასხვა სასარგებლო დანამატს, რაც კარგი საშუალებაა კბილების დაავადების თავიდან აცილებისათვის. გარდა ამისა, საწარმოს კოლექტივს გათვალისწინებული აქვს შამპუნების დასამზადებლად ასკანის თეთრი თიხა გამოიყენოს. ახლახან მომხმარებელმა კვლავ მიიღო ახალი სახეობის პროდუქცია: ჩაის ექსტრაქტით დამზადებული ლოსიონი, რომელიც გამოიყენება თმისა და სახის გასაწმენდად.

ფაბრიკის ძირითადი მიზანია შექმნას ისეთი პროდუქცია, რომელიც ეროვნული სიამაყის საგანი გახდება. ეს კი სრულად განხორციელდება მაშინ, როდესაც მთლიანად დასრულდება საწარმოს რეკონსტრუქცია.

აქაურმა მშრომელებმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალი. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს 121 ათასი მანეთის პროდუქცია. ხოლო გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 897 ათასი მანეთის პროდუქცია. ფაბრიკაში სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა, წარმატება ძირითადად სამმა ფაქტორმა განაპირობა: უპირველესად მანქანა-დანადგარების განახლებამ, რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი; გარდა ამისა მოხერხდა საწარმო იანვრიდან ორცალიან სამუშაო ციკლზე გადასულიყო, ამან კი შესაძლებლობა მიცა

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲩᲐᲘᲡ სიუხვისათვის ლაშქრობის დაწყების წინ ჩხოროწყუს მეთაური ჩაის ფაბრიკის დირექტორის გადაყვანა სხვა სამუშაოზე აუცილებელი იყო. კოლექტივს ახალი ხელმძღვანელი უნდოდა, ვინ შეიძლება იყოს იგი? ასე დაისვა საკითხი პარტიის რაიონულ კომიტეტში. გადაწყვეტილება მოკლე და კონკრეტული იყო: სპეციალურ კომისიას გულდასმით უნდა შეერჩია სამი ღირსეული კანდიდატურა, დეტალურად შეესწავლა მათი საქმიანი, მორალური თვისებები და წარმოების ხელმძღვანელის არჩევა კოლექტივისათვის მიენდო.

ვინ დადგა კოლექტივის სამსჯავროზე? ზურაბ კვარაცხელია — ჩაის მრეწველობის ჩხოროწყუს საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, ბენო ყალიჩავა — ლესიჭინეს ჩაის ფაბრიკის უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, და ირაკლი გოგუა, — ამავე ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი.

არ იყო კაცი, რომელსაც თავისი აზრის გამოთქმა არ სურდა. კოლექტივი კარგად იცნობდა სამივე კანდიდატს, ამიტომ კრების მონაწილენი გულდასმით, პირუთვნელად აფასებდნენ მათს დადებით თვისებებს და ნაკლოვანებებს, გონებაში ანალიზებდნენ უბრალო წვრილმანსაც კი. ბუნებრივია, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როცა ხელმძღვანელის არჩევის ბედი შენს ხელშია, ამით პირად გახაცხადს აკეთებ უფრო მეზანდასახული და ნაყოფიერი შრომისათვის, უფლება არა გაქვს მხარში არ ამოუდგე შენს რჩეულს და მასთან ერთად არ იბრძოლო კოლექტივის ღირსებისათვის.

მოეწყო ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 106 კაცმა. კრების მიერ არჩეული ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა შედეგები. ბენო ყალიჩავამ ხმის დიდი უმრავლესობა მიიღო და მეთაური ჩაის ფაბრიკის დირექტორი გახდა. იყო მჭუხარე ტაში, მილოცვები...

გავესაუბრეთ კრების მონაწილეებს, რათა ერთხელ კიდევ გაგვერკვია, თუ რატომ მისცა კოლექტივმა უპირატესობა ბ. ყალიჩავას.

ლ. ჯალალონია—ფაბრიკის მუშა: არჩევნები მართლაც დემოკრატიული იყო. ავირჩიეთ ის, ვინც ყველაზე მეტად გვინდოდა და ვენდობოდით. იყო დრო, როცა რაიკომი წარმოგვიდგენდა უცნობ თუ ნაცნობ კაცს, ჩვენ არც შეგვეკითხებოდნენ, იმე დანიშნავდნენ კოლექტივის ხელმძღვანელად.

ნ. ჭუცურა — მუშა: ავირჩიეთ უკეთესთა შორის უკეთესი. ბ. ყალიჩავა ენერგიული, პრინციპული და გულისხმიერი მუშაკია. იშვიათად აქვს ერთ კაცს ასე მომადლებული დადებითი თვისებები და ჩვენც იმაზე შევჩერეთ არჩევანი.

— კრება ორმხრივ სასარგებლო გამოდგა, — გვითხრა ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა კ. სანაიამ, — კარგი სკოლა გაიარეს დირექტორობის კანდიდატებმა და თვით ამომრჩევლებმაც. ისინი პრაქტიკულად პირველად მონაწილეობდნენ ასეთ არჩევნებში, რაც შრომითს კოლექტივს კადრების შერჩევასა და დაწინაურებაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს.

კმაყოფილი იყო მთელი კოლექტივი, კმაყოფილი იყვნენ რაიონის ხელმძღვანელები, შუამავები, რომლებიც პირველად [illegible] ნენ ასეთ არჩევნებს.

— ამ მეთოდს ფართოდ გამოვიყენებთ რაიონის სინამდვილეში, — თქვა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ, — იგი თავიდან აგვაცილებს შეცდომებს კადრების შერჩევაში. ხელმძღვანელი მუშაკების არჩევა მოზღება საჯაროდ, აირჩევს კოლექტივი. ამასთან არჩევნების ეს დემოკრატიული პრინციპი კიდევ უფრო უნდა დავზვეწოთ და ფორმალიზმის ნამთებიც მოვაშოროთ.

Დ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე.

Ვ. ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲗ ᲒᲐᲪᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონის სოფელ თალის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მეგობრობას ორმოცზე მეტი წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი, შრომითი შეჯიბრებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით. მათი მეგობრობა მტკიცეა, ისინი ყველაფერში ეხმარებიან ერთმანეთს.

გასულ ზამთარს ძალიან გაუჭირდებოდათ წითელწყაროელ მეცხოველეებს აზერბაიჯანელი მეზობლები რომ არ დახმარებოდნენ. ზაქათალელმა მეცხოველეებმა უხვად გაუზიარეს მათ საკვები.

თავთავიანი კულტურების ალლოობის დროს კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მინდვრებში არაერთხელ გამოუჩენიათ თავი ქართველ მექანიზატორებს. დაეხმარნენ მეზობლები მათ საშენი მასალებითაც სოფელ თალაში სკოლის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლისა და მეცხოველეთა სახლის, მშენებლობის დროს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები — სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე (მარჯვნივ) და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მამედ გაბილაუნი (მარცხნიდან მეორე) მექანიზატორების იაგო გონაშვილისა და რამაზან აბასოვის უბანზე, რომლებიც თავთავიანი კულტურების მოსავალს იღებენ საქართველოში; მოსავალს იღებენ მექანიზატორები იაგო გონაშვილი და ილიმდარ ბალაბეკოვი.

Მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲐᲡᲔ ᲙᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲔᲑᲛᲝᲛᲑᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ათას ხუთასი მანეთი შემოსავალი დააკლეს მეურნეობას ბალახის ფხვნილის დამზადების სეზონის დამდეგიდან. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მათ შორის კომბინირებული საკვების საწარმოებისათვის მიწოდებული ამ ცილა-ვიტამინიანი ნედლეულის მოცულობის სამი მეოთხედი ყველაზე დაბალი — მესამე კლასისა იყო. შესაბამისად მისი საფასურიც ნაკლებია, ვიდრე მეორე და პირველი კლასის ბალახის ფხვნილისა.

მარნეულის, გარდაბნის, სიღნაღის, გურჯაანისა და სხვა რაიონების საკვებმომზადებელთა ბრიგადები — კომბინირებული საკვების საამქროებისა და ქარხნებისათვის ამ სახეობის ნედლეულის ყველაზე დიდი მიმწოდებლები ორიენტაციას იღებენ მხოლოდ მთლიან მაჩვენებელზე და მრავალწლოვანი ბალახის მოვლა-მოყვანისას უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ წესებს. მინდვრებში, ძირითადად იონჯის მინდვრებში, სათანადოდ არ შეიქვთ დამატებითი მინერალური სასუქები, საკმარისად არ რწყავენ მათ და ცუდად ამუშავებენ. რესპუბლიკაში მრავალწლოვანი ბალახებისათვის განკუთვნილი 125 ათასი ჰექტარის უკუგება მცირდება აგრეთვე მოსავლის აღების ვადებისა და ტექნოლოგიის დარღვევის გამო.

ზშირია გადამმუშავებელი აგრეგატებისა და გრანულატორების მოცდენის შემთხვევები, რის გამოც აგრეთვე უარესდება ნედლეულის ხარისხი. ისევე როგორც წინა წლებში, მაგალითად, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების მეურნეობებში, სადაც სარწყავ მიწებზე შეიძლება განსაკუთრებით უხვი მოსავლის მოყვანა, უზრუნველყოფილი არ არის საიმისო პირობები, რომ მიიღონ იონჯის არათუ ხუთი, არამედ სამი-ოთხი ნათიბიც კი. ამის შედეგად რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მეურნეობებში შარშან მრავალწლოვანი ბალახების საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ შეადგინა 139 ცენტნერი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 160 ცენტნერი. წელს, თუმცა ბალახთდგომა სულაც არ არის უკეთესი, დასახულია საშუალოდ მოიწიონ 170 ცენტნერი საკვები.

რესპუბლიკაში ბალახის ფხვნილს ამზადებენ აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთსა და კიდევ ოცდაორ რაიონში. მესამე წელია ზედიზედ სრულდება მისი მთლიანი წარმოების დავალება. მაგალითად, შარშან გამომუშავეს 34,1 ათასი ტონა ვიტამინიანი ფხვნილი. გეგმით გათვალისწინებული 32 ათასი ტონის ნაცვლად, და აქედან მხოლოდ 729 ტონა პირველი კლასისაა.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის საკვებწარმოების სამმართველის სპეციალისტთა ეს ცნობა საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით განმარტა პურ-პროდუქტების სამინისტროს კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **ოთარ თოფურიამ:**

— ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად ვერ ვარიდებთ თავს დაბალხარისხოვანი კომბინირებული საკვების სამრეწველო გამოშვებას, მაგრამ როგორ უნდა დავამზადოთ სრულფასოვანი საკვები, თუ მის წარმოებაში იყენებ ან ასეთ ნედლეულს? — და მან გვიჩვენა მომწვანო ფერის ნაფშვენი, — ნახეთ, ეს მარნეულიდან გუშინ წამოვიღეთ. იძულებული ვართ კომბინირებული საკვების უკეთაინობის ზრდისათვის დავნარჩოთ დეფიციტური საფუარი, მრავალი ტონა ფონდირებული თევზის ფხვნილი. ეს კი ზრდის ჩვენი პროდუქციის თვითღირებულებას. ბალახის ფხვნილის დაბალი ხარისხის გამო განსაკუთრებული სიძნელეები ჩნდება ბოკვრებისათვის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულისათვის კომბინირებული საკვების დამზადების დროს. მეურნეობებმა უნდა მიაწოდონ დაახლოებით 80 პროცენტი პირველი კლასის ცილა-ვიტამინიანი დანამატი, ამასთან, დაახლოებით ნახევარი გრანულებით, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს არ აკეთებენ.

მეურნეობათა მიერ ბალახის ფხვნილის მიწოდება საგეგმო 32,6 ათასი ტონის ანგარიშში გრძელდება. პირველი კლასის ნედლეული მათში მხოლოდ 2-3 პროცენტია.

თავისთავად იბადება კითხვა: როდემდე გაგრძელდება ასეთი უყაირათობა?

Ვ. ᲑᲐᲑᲣᲐᲫᲔ,
საქინფორმის კორ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲫᲘᲫᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ შექმნილი საქართველოს კულტურის ფონდის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ მათთვის „სპეციფიკურ წარმოებათა“ განვითარებაზე (თბილისი, 1987, № 119, 23 მაისი, გვ. 4). ამრიგად, კიდევ ერთი დაწესებულება ცდილობს ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რეწვა თავის სამსახურში ჰაყენოს. არჩევანი სწორია და რა გვეთქმის, მაგრამ ეს უძველესი და მარად საჭირო ხელოვნება კარგა ხანია ყოფნა არყოფნის წინაშე დადგა. ჩვენ თვალწინ იშრიტება თავანგარა ხალხური შემოქმედების მრავალი წყაროსთვალი. უეჭველია, ჯერ თითოეულის გადარჩენისათვის უნდა ვიზრუნოთ, ხოლო შემდგომ, მათი მიზნობრივად გამოყენების დროც დადგება.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება ხალხური მხატვრული რეწვის განვითარების შესახებ. ხოლო ახალი საბჭოთა კონსტიტუციის (1977 წ.) ოცდამეშვიდე მუხლი ხელოვნების ამ დარგის აღორძინებას ითვალისწინებს. შარშან ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ დავალება განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ტრადიციული ხალხური სამხატვრო სარეწების განვითარებას და საჭიროებისამებრ კულტურულ-სტორიული ნაკრძალი ზონების შექმნას. ხალხურ სამხატვრო ნაკეთობათა გამოშვებისას რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს, უწინარეს ყოვლისა, მხატვრულ-ხარისხობრივი მაჩვენებლები“.

ასეთია პარტიისა და მთავრობის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი. ყოველმა რესპუბლიკამ თავისი ყოფისა და ტრადიციების გათვალისწინებით უნდა შექმნოს დაყენოს ეროვნული გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რეწვა ახლანდელ მოთხოვნილებათა დონეზე. მრავალი განზომილებიდან არსებითია თვით დარგების შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა, აგრეთვე ის მატერიალური შემოსავალი, რომელიც ტურიზმის განვითარების თანამედროვე ინდუსტრიის პირობებშია მოსალოდნელი, თუკი საქმეს სწორი მიმართულება მიეცემა. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ჩვენს რესპუბლიკაში?

„ხალხური მხატვრული რეწვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1968 წლის 14 აგვისტო) საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა გაერთიანება „სოლანი“, რომლის შექმნის სათავეებთან ეთნოგრაფები იდგნენ და მათ გაერთიანებას სამოქმედო პროგრამაც განუსაზღვრეს: მეცნიერულ დონეზე უნდა აღრიცხულიყო შინარეწვის თუ დეკორატიული ხალხური ხელოვნების ყველა კერა და თითოეული შთამომავლობითი ოსტატი, რომელთაც „უზრუნველი ტრაპეზი“ უნდა გასჩენოდათ, დაუბრკოლებლივ ეკეთებინათ მამაპაპური საქმე, მიეღოთ მნიშვნელოვანი შემოსავალი, რათა უფრო დაინტერესებულიყვნენ. გამორჩეულ ოსტატთა ხელოვნებას ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით წახალისება და პრაპაგანდა არ უნდა მოკლებოდა. აქედან გამომდინარე, პაპანა და მამის ხელობა შვილსა და შვილიშვილს უნდა ესწავლა; იქ, სადაც დარგი გამქრალი ან გაქრობის პირას იყო მისული, სახელმწიფოებრივი ჩარევით უნდა აღდგენილიყო. ამრიგად, ხალხურ გამოყენებითი ხელოვნებას და მხატვრულ რეწვას პატრონი გაუჩნდა. ადგილებზე გაიხსნა საწარმოო უბნები, დაიწყო ცალკეულ ხელოსანთა ნაწარმის შეძენა და ა. შ. მაგრამ „სოლანმა“ იმედები ვერ გაამართლა. რამდენიმე კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ეთნოგრაფები იძულებული გახდნენ ასპარეზს გასცლოდნენ. „სოლანი“ მეცნიერული მართვის გარეშე დარჩა და ხალხურ ხელოვნებაზე ზრუნვით თავი აღარავის შეუწუხებია. პრესაში სახალხო ოსტატთა წახალისების ნაცვლად სასამართლო ქრონიკამ იმძლავრა და თავზარდამცემი ფაქტები გამოქვეყნდა...

ამჟამად „სოლანში“ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თბილისში ქართული კერამიკის საფირმო მაღაზიაც გაიხსნა, თუმცა შემეცნებითი საფუძვლების გარეშე, ბუნებრივია, საქმე წინ ვერ წაიწევს. მაშასადამე, ძალაუნებურად, მივადექით კითხვას — რა მდგომარეობაა ამ მხრივ მეცნიერებაში?

სამწუხაროდ, არცთუ სახარბიელო. 1913 წელს გამოვიდა ა. ს. ფირალოვის ცნობილი ნაშრომი, 1926 წელს ვ. კაკაბაძის აწ მივიწყებული მონოგრაფია „შინამრეწველობა საქართველოში, მოკლე ისტორიული მიმოხილვა“; აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ წიგნში „ძველი ქართველი ოსტატები“ (თბ. 1967 წ.) წინაპართა ღვაწლი უკვდავყო, მაგრამ რესპუბლიკაში დღეს არსებულ ვითარებაზე ერთი განმაზოგადებელი წერილიც კი არ მოგვებოვება. მართალია, მკვლევრები ხელოსნობისა და ხელოვნების ცალკეულ დარგებს სწავლობენ, ზოგჯერ მონოგრაფიებიც ქვეყნდება, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება მათი ნაშრევი. გადაჭარბებულ არ იქნება, თუ ვიტყვით, მეცნიერება ცალკეა და პრაქტიკა ცალკეო, უფრო მეტიც, არ არსებობს სრულყოფილი მეცნიერული უჯრედი, ქართულ ხალხურ გამოყენებითს ხელოვნებასა თუ მხატვრულ რეწვას საგანგებოდ რომ სწავლობდეს და კვლევის შედეგებს ცხოვრებაში ნერგავდეს. მდგომარეობა კი მეტად საგანგაშოა, ელვის სისწრაფით იღუპება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ნაამაგარი, მიგრაციის შეუქცევადი პროცესი შედეგად: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსამკაული, საგალთეტ-რეო და ბეწვეულის მზა ნაწარმი; ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი; თუნუნა და კერამიკული ნაკეთობანი, სათამაშოები და სუვენირები, საოჯახო ნივთები, ბალბოსტნის ინვენტარის საგნები და ა. შ. კანონი გამორიცხავს რა დაქირავებულ შრომას, სახალხო ოსტატებს მოღვაწეობის ფართო ასპარეზს უქმნის. ბუნებრივია, უპირველესად, ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რეწვა უნდა აღორძინდეს, მაგრამ აუცილებელია ამომწურავად გავითვალისწინოთ წარსულის შეცდომები და ამ პასუხსაგებ საქმეში არ დავუშვათ საქმოსანთა თარეში. ბოლო ელვა მოეღოს გაუმართლებელ ემპირიზმს და გზა გაეხსნას მეცნიერულ კომპეტენტურობას!

ყოველივე ამის განხორციელება წარმოუდგენელია საგანგებო კვლევა-ძიების გარეშე. ჯერ უნდა დავადგინოთ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, საერთოდ რა მდგომარეობაშია შინახელოსნობისა და ხელოვნების ტრადიციული კერები, უნდა აღირიცხოს ოსტატები და მოხდეს მათი პასპორტიზაცია-ატესტაცია. ეს გადაუდებელი, რთული საქმე ეთნოგრაფებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა იკისრონ. მისამართი რომ უფრო ზუსტი იყოს, სქემატურად მაინც შევეფასებთ შესაბამისი სამეცნიერო დარგების შესაძლებლობებს.

ეთნოგრაფია დღეს პრაქტიკულ მეცნიერებად იქცა. ამაზე უკვე ხშირად იწერება საკავშირო პრესაშიც, ეწყობა საგანგებო შეკრებები და სიმპოზიუმები. ჩვენთან ეთნოგრაფიის პრაქტიკულ დანიშნულებაზე კარგა ხანია ყურადღება გამახვილდა, დაბეჭდილია სათანადო წიგნიც, მაგრამ სწორად დასმულმა პრობლემებმა რატომღაც თვით ეთნოგრაფთა შორისაც ვერ პოვა მხარდაჭერა. მართალია, 1978 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე მომზადებულიყო ნიადაგი ეთნოგრაფიული ცენტრის ჩამოსაყალიბებლად. სამწუხაროდ, პირქით მოხდა: ინსტიტუტში ეთნოგრაფიის დარგი ერთობ დაკნინდა და ამჟამად ოთხის ნაცვლად ერთი განყოფილება და ორიოდე სექტორია.

თბილისში არსებობს კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უძველესი, მელსაც პროფესორი დავით ციციშვილი ხელმძღვანელობდა. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ კარგად დაწყებული საქმე დააბრკოლა და, ბუნებრივია, განყოფილებაში მომუშავე ორიოდე სპეციალისტი ამინდს ვერ შეეშინა, თუ საჭირო გარდაქმნა დროულად არ განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა შეიქმნას ამავე სისტემის ღია ცისქვეშ მუზეუმის შესაძლებლობათა გამოყენებით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება აწყობს ექსპედიციებს ქართული ხალხური მხატვრული რეწვის ტრადიციების შესწავლისათვის და დაინტერესებული არიან ეროვნული სუვენირების წარმოებით. ყოველივე ამას ხაზი გაესვა საზოგადოების შარშანდელ ყრილობაზე, მაგრამ საზოგადოება ამ მიმართულებით ფართო ხასიათის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს.

რამდენიმე წელია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან მოქმედებს ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორია, რომლის თაოსნობით ხალხური შეთუნეობით ცნობილ სოფელ შროშაში გამსვლელი სესია გაიმართა და ძირითადად ამით ამოიწურა ამ დარგის კერებისადმი ყურადღება.

გარკვეული მუშაობა წარმოებს თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში: ნორჩი მხატვრების, თოხის ტარების, გობების, კალათების დამამზადებლები, რომელთა ნაწილი დაჯარიმდა, მაგრამ ასეთი ხელოსნების უმრავლესობა ჯერ კიდევ აუყვანელია აღრიცხვაზე (სოფლის ცხოვრება, 1986 წლის სექტემბერი).

ჩვენი ღრმა რწმენით, პიროვნება, რომელიც ფანდურებს აკეთებს, გობებს თლის და კალთებს წნავს, დასაფასებელია. ხალხის წიაღში შექმნილი ხალხური საკრავი ხომ დღეს ი შვიათობაა: ჩვენს ყოფას როგორ აკლია მრავალფეროვანი და მაღალხატვრული ხის იარაღ-ჭურჭელი, წნული-შარაგული. ადგილობრივ მაღაზიებში გასაყიდად კარპატებიდან ჩამოტანილ კალთას წაწყდების, ხოლო ეროვნულ ნაწარმს ამაოდ დაუწყვია ძებნას. არადა, რა სიმდიდრის პატრონები ვართ! საქართველოს ყოველ კუთხეს ხომ ორიგინალური, საოცრად დახვეწილი და სრულყოფილი ხელსახმარი ჰქონდა. შეიძლება, პოეტს ვსდიოთ, ლექსებს რომ წერს იმის გამო, ანდა მხატვარი ხატვისთვის დავსაჯოთ?! მაშ, რას ვერჩით ი შვიათი ხელობის ოსტატებს? მათი ნახელავი ხომ ჩვენს ყოველდღიურობას ალამაზებს და ეროვნულ კოლორიტს ანიჭებს!

წლევანდელი 1 მაისიდან ძალაში შევიდა „კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, რომლის ძალითაც შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში დაშვებულია საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი —მდიდარი გაძნთსაცავი, რომელიც ამჟამად შინაგან კრიზისს განიცდის და ფართო მასშტაბის კვლევა-ძიებაზე ხელი არ მიუწვდება.

1960 წელს თბილისში შეიქმნა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცისქვეშ მუზეუმი. ხალხური არქიტექტურის ნიმუშების ჩვენებასთან ერთად, მუზეუმის ექსპოზიცია უნდა გაეცოცხლებინათ სახალხო ოსტატებს, რომლებიც თავიანთ ხელოვნებას დამთვალიერებლებს უჩვენებდნენ და თან ეროვნულ სუვენირებსაც შესთავაზებდნენ. მუზეუმმა ეს მისია ვერ შეასრულა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ფუნქციონირებს ხალხური რეწვის განყოფილება, რომელიც ეთნოგრაფები თუ ეთნოგრაფები ეცნობიან და სწავლობენ ხელსაქმეს, შინარეწვისა და დეკორატიული ხელოვნების დარგებს; დროდადრო ეწყობა შეკრებები, მოსწავლეთა ნახელავის გამოფენები, მაგრამ ამ სასარგებლო გარჯას გეგმაზომიერი ხასიათი არა აქვს, უფრო პირად მონდომებასა და ენთუზიაზმზეა დამყარებული, ვიდრე სახელმწიფოებრივ-მეთოდიკურ გააზრებაზე. ტრადიციული ხელოსნობის გამოცოცხლებას ცდილობდნენ თიანეთის რაიონში, რაც, სამწუხაროდ; უშედეგოდ დამთავრდა. სოფელ იყალთოში (თელავის რაიონი) იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შათირიშვილის თაოსნობით გაიხსნა ერაკლეოსანი პირველი ხალხური რე

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ 6 აგვისტოს მიიღო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელის შემადგენლობაში შედიან კაპისის პროვინციის ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ რესპუბლიკასთან პირდაპირი კავშირ-ურთიერთობის დამყარების მიზნით.

მეგობრული საუბრის დროს სტუმრებს გააცნეს საქართველოს კომპარტიის საქმიანობა, რომელსაც იგი ეწევა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მშრომელთა დარაზმვის მიზნით. მათ ესაუბრნენ იმის შესახებ, თუ როგორი მუშაობა ხორციელდება რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური მშენებლობის დაჩქარების, დემოკრატიის საყოველთაო განვითარებისა და საჯაროობის დამკვიდრებისათვის.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნაჯიბის ამასწინანდელ ვიზიტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან მის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, აზიაში მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულწრფელი სიმპათიით არიან განწყობილი ავღანელი ხალხისადმი, მხარს უჭერენ ეროვნული შერიგების პოლიტიკას, კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ავღანეთში მისი რეალიზაციისათვის.

ავღანეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პროვინციული კომიტეტის მდივანმა აბდულხან მარომმა გულთბილი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის. მან თქვა, რომ ავღანეთში დიდ ინტერესს იჩენენ იმ მიღწევებისადმი, რომელნიც საქართველოს სს რესპუბლიკამ მოიპოვა ეკონომიკასა და კულტურაში. თქვენი რესპუბლიკის გამოცდილება, ხაზგასმით აღინიშნა სტუმარმა, დიდად დაგვეხმარა ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე.

* * *

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია კვლავ ეცნობა რესპუბლიკის ცხოვრებას. სტუმრები ინტერესით სწავლობენ სახალხო განათლების დაყენების, მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების სრულყოფის დარგში შეძენილ გამოცდილებას, რომელიც მათ გააცნეს საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების საჯელმწიფო კომიტეტში გამართული საუბრების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ვიზიტის დროს დელეგაციას ესაუბრა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. მელქაძე.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ

საელმწიფო ჯილდოების გადაცემისა და შენახვის წესების უნაგი დარღვევებთან და უპასუხისმგებლობით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ წყალტუბოში ათობით ორდენი და მედალი დაკარგული. რა თქმა უნდა, ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამაში, მკაცრად დაისჯნენ. მაგრამ რა ვუყოთ მორალურ ზიანს, რომელიც ამ შემთხვევაში მიადგა საზოგადოებას? შემთხვევითი როდია, რომ ეს ფაქტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა.

საელმწიფო ჯილდოების აღრიცხვისა და შენახვის სწორი ორგანიზაციის საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკური საკონსულტაციო თათბირიც, რომელზეც მოწვეული იყვნენ საბჭოს დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების მდივნები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პირობებში, როცა წინა პლანზე დგება ადამიანის ფაქტორის გაქტიურება, მატერიალურთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მორალურ წახალისებასაც.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ამ მძლავრ სტიმულს ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ ადგილებზე. თათბირმა მოითხოვა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მკაცრი წესრიგი დამყარონ ამ მნიშვნელოვან საქმეში, დაავალა მათ განახორციელონ ღონისძიებები, რათა ჯილდოების გადაცემა ყველგან ხდებოდეს გამარჯვებული შრომის, პატიოსნ, სამშობლოსა და ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლის კეშმარიტი დაფასების ვითარებაში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

(საქინფორმი).

საბინაო პრობლემის გამო

აბაჩის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დეპუტატებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები.

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ე. ჩიგოგოძის მოხსენებაში, სხვა ორატორთა გამოსვლებში დაინახა კერძოდ, კერძოდ, ოჩამჩირეში ლიკვიდირებულია ბარაკის ტიპისა და სარდაფის სადგომები. იქ მცხოვრებმა მოკალაქეებმა მიიღეს კეთილმოწყობილი ბინები. და მაინც ჯერჯერობით მწვავედ დგას საბინაო პრობლემა. აქედან ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დაახლოებით 6500 ოჯახს სჭირდება საბინაო პირობების გაუმჯობესება. კიდევ 2000 ოჯახი ცხოვრობს ძველ, ამორტიზებულ სახლებში.

საბინაო მშენებლობაში ვერ ითვისებენ კაპიტალდაბანდებებს. მიმდინარე წლის 1ექვსი თვის საელმწიფო გეგმა მხოლოდ 78 პროცენტით შესრულდა. სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული ბინების აღრიცხვაში, განაწილებასა და ექსპლოატაციაში, თვეობით, ზოგჯერ კი წლობითაც ჰიანურდება ახალ ბინებში მოქალაქეთა შესახლება და ორდერების გაცემა.

ბევრი დარღვევაა საბინაო ფონდის მოვლის საქმეშიც. ჰიანურდება სარემონტო სამუშაოები კომუნალურ ბინებში. სეროიზული დარღვევებია ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში შავი ზღვის სანაპიროს სამკლიმატრიან ზონაში. ძალზე საგანგაშო ვითარება შექმნა ჭობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო და ჩაქვის სადაბო საბჭოებში, ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის სადაბო და კახაბრის სასოფლო საბჭოებში, სადაც საცხოვრებელი სახლების თვითნებური მშენებლობისა და დაშენების მრავალი ფაქტია.

სესიამ განიხილა აგრეთვე 1987-1988 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზადყოფნის უზრუნველყოფის საკითხები.

(საინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თანამედროვე საწარმოთა ჰიგიენური შრომის პირობების შექმნის პრობლემების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, პროფდაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კპარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 8 ივლისი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ოთარ შალვას ძე **ცომაია** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — ხილბოსტნეული პროდუქციისა და კარტოფილის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსად.

ამხ. თამაზ შალვას ძე **იმედაძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. გივი დომენტის ძე ყიფიანი — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის — ხილბოსტნეულის და კარტოფილის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

ამხ. ნუგზარ დომენტის ძე რუხაძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან.

(საქინფორმი).

ᲥᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲥᲕᲔᲕᲘ. 6 აგვისტო. (ხაკდესი). დღეს აქ მიმდინარე განიარაღების კონფერენციაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

ამ კვდლებში, თქვა მან, შემუშავებულია მსოფლიოს ბედისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები: ხელშეკრულებანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის განლაგებლობის შესახებ, ყონვენციები ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის აკრძალვის, სამხედრო მიზნით გარემოზე ზემოქმედების მოუხდენლობის შესახებ. ამ თვისთავად შესანიშნავმა დოკუმენტებმა, რომლებიც უდიდესი ნიშანსვეტებია საერთაშორისო-სამართლებრივი აზრის განვითარების გზაზე, ერთი საფეხურით მაღლა აიყვანეს ჩვენი საერთო უშიშროება.

ისინი ადასტურებენ, რომ შესაძლებელია უბირთვო და უძალადო მსოფლიო, უომო და უიარაღო ეპოქა, რაც თვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. სხვაგვარად რომ თქვამთ, მათ გარკვეულწილად დაასწრეს დასკვნას, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობამ გამოიტანა ბირთვულ-კოსმოსური ერის რეალიათა ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ.

ანსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენციამ, რომელმაც ხორცი შეასხა ბირთვული გაუვრცელებლობის იდეას, იცის, თუ რა არის ბირთვული საშიშროება.

ამიტომ გვაქვს თანაგრძნობის გამოხმაურების იმედი, როცა ვამბობთ, რომ შეკავების დოქტრინის გონივრული ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ უბირთვო, უძალადო მსოფლიო.

მისი ფანტასტიკურობის შესახებ გამოთქვამენს საწინააღმდეგოდ იგი უკვე იბადება ჩვენ თვალწინ. ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინათ, ინდონეზიის გაზეთ „მერდეკისათვის“ მ. ს. გორბაჩოვს მიერ მიცემულ ინტერვიუმდე, უბირთვო მსოფლიოს გზაზე აღმართული იყო 200-ზე ეტაპ მეტი ქობინი. რეიკიავიკის დროიდან კი ეს მანძილი თითქმის ორი ათასი ქობინით შემცირდა.

მე რომ მკითხონ, ამაზე რატომ ლაპარაკობ როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე, ვიტყოდი, საბჭოთა კავშირისათვის ეს მართლაც მომხდარი ფაქტია-მეთქი. რადგან ყველაფერი ვიღონეთ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული. ავიღეთ ყველაფერი, რაც ხელს შეუშლიდა „ორმაგი გლობალური ნულის“ საფუძველზე შეთანხმების მიღწევას.

ჩვენ მოვხსენით პირობა ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული ძალების შესახებ. საშუალო სიშორის რაკეტების საკითხს სტრატეგიული და კოსმოსური შეიარაღების პრობლემისაგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, თუმცა უკეთესი იქნებოდა ისინი კომპლექსურად განგვეხილა. ახარი დავუშვირეთ ევროპაში საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების სრულ ლიკვიდაციას. და ბოლოს, მივედით „ორმაგი გლობალური ნულის“, ესე იგი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების არსენალებიდან ორი კლასის ბირთვული შეიარაღების სრული ამოღების კონცეფციამდე. საიდუმლო როდია, რომ საბჭოთა მხარემ ამ შემთხვევაში უნდა შეამციროს გაცილებით მეტი რაკეტა, ვიდრე ამერიკის მხარემ.

მაშ რა გვაბრკოლებს, ბატონებო?

ჩვენმა პარტნიორებმა გამოთქვეს საბაბი. მთავარია „პერშინგ-1 ა“ რაკეტები.

ჩვენ გვეუბნებიან: რატომ დასვით ეს საკითხი და რატომ წინათ არ აღგიძრავთ იგი?

ვიტყვი ასე. რა იცოდნენ დასავლეთში და როდის იცოდნენ საბჭოთა პოზიციის შესახებ, ამ შემთხვევაში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ამისთვის ვაწარმოვნეთ მოლაპარაკებანი, რომ განვსაზღვროთ სალიკვიდაციო შეიარაღების შემადგენლობა.

არსებითად ხომ საქმე ჩვენში ეხება იმას, კონკრეტულად რა ბირთვული საშუალებები უნდა მოსპონ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის დიაპაზონით. პრინციპული მორიგება ამ საკითხზე მოწმობს: უკანკალოდ ყველა. მაშასადამე „პერშინგ-1ა“ რაკეტებიც.

თუკი ვინმეს აზრად მოუვიდა ატეხოს დავა იმის გამო, რომ ვის ეკუთვნის ეს რაკეტები, — კი ბატონო, მზად ვართ განვიხილოთ ეს კაზუსიც.

ვამჯობინებდით, განგვეხილა ეს მხოლოდ მოლაპარაკების მაგდასთან, მაგრამ თავს გვაბეზეან საჯარო დისკუსიას, და იძულებული ვართ ვაწარმოოთ იგი, რათა არ დამახინჯდეს საქმის არსი და ჩვენი პოზიცია.

დავიწყებთ იმით, რომ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ შეერთებულ შტატებთან და მხოლოდ საბჭოთა და ამერიკული ბირთვული საშუალებების შესახებ. და ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჩარიცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლ ი კ ა. რატომ? რა უფლებით? ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების თანახმად, მას გარა არ უკისრია ვალდებულება არ შეიძინოს ასეთი იარაღი?

ჩვენც გვყავს მოკავშირენი, რომლებიც შეშფოთებული არიან მეზობელ ქვეყანაში ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული რაკეტების შენარჩუნების ფაქტის გამო, დიდ საფრთხეს რომ უქმნიან მათს უშიშროებას. მათ შეეძლოთ დაეცვათ საკითხი თავიანთ ტერიტორიაზე ანალოგიური საშუალებების განლაგების შესახებ, და საბჭოთა კავშირი ამას დაეთანხმებოდა.

მაგრამ როგორი გამოვა ყოველივე ამის შედეგად საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება? საინტერესო, გამოშიგნული, სისხლგამოცლილი.

სწორედ უკანასკნელ დღეებში „ნულოვანი გადაწყვეტის“ მოწინააღმდეგეებმა გამონახეს კიდევ ერთი არგუმენტი, რომლითაც სურთ გაამაგრონ „პერშინგ-1 ა“ რაკეტების მიმართ დაკავებული უსუფლო პოზიცია. ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ევროპაში არსებობს დისბალანსი ჩვეულებრივი და ბირთვული ტაქტიკური შეიარაღების ხაზით, და ამიტომ, ეს რაკეტები უნდა დარჩესო.

მაგრამ განა იგივე ბონსა და ვაშინგტონში არ იციან, **რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა მტკიცედ მოუწოდებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ჩვეულებრივი და ბირთვული ტაქტიკური შეიარაღების შემცირებისა და დისპროპორციებისა და დისბალანსების ლიკვიდაციის შესახებ იქ, სადაც ისინი არსებობს.**

თუ, როგორც ამერიკის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი და მისი დასავლეთგერმანელი პარტნიორები ამტკიცებენ, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის განლაგებლობის შესახებ, ყონვენციები ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის, სამხედრო მიზნით გარემოზე ზემოქმედების მოუხდენლობის შესახებ. ამ თვისთავად შესანიშნავმა დოკუმენტებმა, რომლებიც უდიდესი ნიშანსვეტებია საერთაშორისო-სამართლებრივი აზრის განვითარების გზაზე, ერთი საფეხურით მაღლა აიყვანეს ჩვენი საერთო უშიშროება.

ისინი ადასტურებენ, რომ შესაძლებელია უბირთვო და უძალადო მსოფლიო, უომო და უიარაღო ეპოქა, რაც თვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. სხვაგვარად რომ თქვამთ, მათ გარკვეულწილად დაასწრეს დასკვნას, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობამ გამოიტანა ბირთვულ-კოსმოსური ერის რეალიათა ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ.

ანსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენციამ, რომელმაც ხორცი შეასხა ბირთვული გაუვრცელებლობის იდეას, იცის, თუ რა არის ბირთვული საშიშროება.

ამიტომ გვაქვს თანაგრძნობის გამოხმაურების იმედი, როცა ვამბობთ, რომ შეკავების დოქტრინის გონივრული ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ უბირთვო, უძალადო მსოფლიო.

მისი ფანტასტიკურობის შესახებ გამოთქვამების საწინააღმდეგოდ იგი უკვე იბადება ჩვენ თვალწინ. ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინათ, ინდონეზიის გაზეთ „მერდეკისათვის“ მ. ს. გორბაჩოვს მიერ მიცემულ ინტერვიუმდე, უბირთვო მსოფლიოს გზაზე აღმართული იყო 200-ზე ეტაპ მეტი ქობინი. რეიკიავიკის დროიდან კი ეს მანძილი თითქმის ორი ათასი ქობინით შემცირდა.

ᲛᲔᲝᲗᲔ. გაეერთიანებული ერების ორგანიზაციაში იხილავენ სოციალისტური სახელმწიფოების ჯუფის წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

ᲛᲔᲠᲕᲔ. გაეერთიანებული ერების ორგანიზაციაში იხილავენ სოციალისტური სახელმწიფოების ჯუფის წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

სპეციალურად მინდა შევეხო კონტროლის საკითხს, მის პრაქტიკულ და გამოყენებითის ასპექტებს.

ბოლო წლების გამოცდილებამ ცხადყო: არის კონტროლი, რომელზეც ლაპარაკობენ პროპაგანდისათვის, და არის რეალური, მუდმივი კონტროლი. ასე რომ, თუ გნებავთ, **რეალური კონტროლის პრობლემისადმი თვით ჩვენი მიდგომის** ფილოსოფიაში **განსაკუთრებული სისავსითა და ცხადად გამოვლინდა ჩვენი თვალსაზრისის** — დაიდოს ხელშეკრულებანი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საერთაშორისო შეთანხმებანი ბირთვული შეიარაღების სრული და საყოველთაო მოსპობის შესახებ;

— მკაცრი უნივერსალური აკრძალვა დაუწესდეს კოსმოსში ყოველგვარი იარაღის განლაგებას;

— დამყარდეს საერთაშორისო რეჟიმი, რომლის დროს მსოფლიოში არ იქნება ქიმიური იარაღი, მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღი;

— შემცირდეს თავდაცვის მოთხოვნილებებისათვის მინიმალურად საჭირო ღონემდე ჩვეულებრივი შეიარაღების დონე;

— მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს თანაბრომლობის საფუძველზე შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა, რომლის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისი წესდების შესაბამისად შეეძლება ეფექტიანად დაიცვას მშვიდობა და უშიშროება.

ნება მიბოძეთ, ჩამოვაყალიბო ამ მიზნების მიღწევისათვის ჩვენი პრაქტიკული მომქმედების თანამიმდევრულობა.

პირველი. ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მიეცემული აქვს ინსტრუქციები იხელმძღვანელოს „ორმაგი გლობალური ნულის“ ფორმულით. მიღწეულია მორიგება ცალკე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებს გარეთ, სექტემბრის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შესახებ.

მეორე. ყენევის მოლაპარაკებაზე შეეიტანეთ სტრატეგიული შეიარაღების 50-პროცენტიანი შემცირების შესახებ ხელშეკრულების პროექტი და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის თაობაზე ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცების შესახებ შეთანხმების პროექტი. პროექტები კომპრომისულია და ითვალისწინებენ მეორე მხარის პოზიციებს და ხელს უწყობენ მათ.

მესამე. განიარაღების შესახებ კონფერენციის განსახილველად საბჭოთა მხარემ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანავტორობით შეიტანა „ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი“. ჩვენ წამოვაყენეთ ინიციატივა, რომ შეიქმნას კოსმოსში ნებისმიერი სახეობის იარაღის განლაგების დაუშვებლობისადმი საერთაშორისო კონტროლის სისტემა.

მეოთხე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იხილავენ სოციალისტური სახელმწიფოების ჯუფის წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

სპეციალურად მინდა შევეხო კონტროლის საკითხს, მის პრაქტიკულ და გამოყენებითის ასპექტებს.

ბოლო წლების გამოცდილებამ ცხადყო: არის კონტროლი, რომელზეც ლაპარაკობენ პროპაგანდისათვის, და არის რეალური, მუდმივი კონტროლი. ასე რომ, თუ გნებავთ, **რეალური კონტროლის პრობლემისადმი თვით ჩვენი მიდგომის** ფილოსოფიაში **განსაკუთრებული სისავსითა და ცხადად გამოვლინდა ჩვენი თვალსაზრისის** — **ევოლუცია, რომელიც ამჟამად ჩამოყალიბდა არატრადიციული პოლიტიკური შეხედულებების, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ახალი პოლიტიკური აზროვნების სისტემად.**

ბირთვული შეიარაღების, ამ ეტაპზე — საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შემცირების, მტკიცედ ვუკავშირებთ შემოწმების ღონისძიებათა შესახებ მორიგებას.

იგი შეიცავს იმ რაკეტების შესახებ საწყისი მონაცემების გაცვლას, რომლებიც მხარეებს აქვთ და ამ მონაცემების შემოწმებას ადგილებზე ინსპექციის მეოხებით.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ განუწყვეტელი მეთვალყურეობა დაუწესდეს რაკეტების მოსპობის პროცესს. კონტროლი დაუწესდეს შესაბამისი საწარმოო ბაზისა და ინფრასტრუქტურის ლიკვიდაციასაც.

შემოწმების სისტემა, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, ითვალისწინებს იმის აბსოლუტური რწმენის ატმოსფეროს შექმნას, რომ შეთანხმების არც ერთი მხარე არავითარი ხერხით არ აუვლის გვერდს.

და, ბოლოს და ბოლოს, **სავალდებულოდ მიგვაჩნია, რომ ხელმოსაწერ დღეს იყოს სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ამ ხელშეკრულებაში, სადაც შეიძლება განლაგებული იყოს რაკეტები.**

ჩვენი აზრით, კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებაში.

„ყველა სახელმწიფოს, რომელიც ეწევა კოსმოსურ საქმიანობას, აბსოლუტურად თანაბარი პირობები ჰქონდეს, ინსპექტორთა მუდმივი მეთვალყურეობა კი კონტროლის საიმედოობის გარანტიას ქმნიდეს. სასტარტო კოსმოსური კომპლექსი ხომ ისეთი რამაა, რომლის დამალვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში თვით ტექნოლოგია განსაპირობებს შემოწმების შედარებითს სიმარტივესა და ეფექტიანობას. ამავე დროს, ჩვენი წინადადება ითვალისწინებს ადგილზე ინსპექციის მოწყობის უფლებას, თუ გაჩნდება ეჭვი, რომ რაკეტის გაშვება განხორციელდა გამოუცხადებელი სასტარტო მოედნიდან.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ერთ სასურველ მიზანზე, რომლის განსახორციელებად, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი, და რომელსაც თითქმის მიალწია განიარაღების კონფერენციამ.

საქმე ეხება უდიდეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას, ქიმიური იარაღის სრულ აკრძალვასა და მისი მარაგის ლიკვიდაციას.

უფლებამოსილი ვარ გაცნობოთ, რომ საბჭოთა დელეგაცია ამ საკითხის გამო მოლაპარაკებაზე **იხელმძღვანელებს იმით, რომ იურიდიულად განმტკიცდეს მოთხოვნით სავალდებულო ინსპექციების პრინციპი ისეთ ინსპექციებზე უარის თქმის უფლების უქონლად.** და ამ გადაწყვეტილებაში აგრეთვე მეტად დამაჯერებლად ვლინდება, რომ ვერთვალუობრ რეალურ ქმედითს კონტროლს ახალი პოლიტიკური აზროვნების პრინციპების შესაბამისად.

ნდობის ატმოსფეროს შექმნისათვის, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო კონვენციის უსწრაფესად დადების ინტერესებით, **საბჭოთა მხარე იწვევს ქიმიური იარაღის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეებს სხვა ოთხ ქვეყნის შიხანის სამხედრო-ეკონომიკური გაეცნონ ჩვენი ქიმიური საბრძოლო ნივთიერებების ტიპობრივ ნიმუშებსა და მოძრავ კომპლექსზე ქიმიური იარაღის მოსპობის ტექნოლოგიას. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მოვიწვევთ ექსპერტებს ქიმიური იარაღის მოსპობის საკაცობრიო საწარმოში, რომელიც ჩვენთან, ქალაქ ჩაპაევსკის რაიონში.**

ისე, როგორც არასდროს წინათ, განიარაღების კონფერენციის როლსა და მნიშვნელობას დღეს განსაზღვრავენ დროის ყველაზე მწვავე პრობლემები. ასრულებს რა თავის მისიას, ამ წარმომადგენლობის კონფერენციას ძალუძს კიდევ უფრო მეტად განიმტკიცოს პოზიციები პრაქტიკული საქმეებით, მის წინაშე დასახული შესაბამისი მასშტაბური ამოცანებით.

ალბათ, საჭიროა მოვიფიქროთ, თუ როგორ გადავიდეთ მუშაობის უფრო ინტენსიურ გრაფიკზე. ჩვენ თანაგრძნობით მოვეკიდებით იმას, რომ კონფერენცია ფუნქციონირებდეს მთელი წლის განმავლობაში ორი-სამი შესვენებით. ურიგო არ იქნებოდა მოგვიწვია წელს კონფერენციის დამატებითი სესია, რათა დაგვემთავრებინა ძირითადად ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის შემუშავება.

რატომ ვამბობთ, რომ საჭიროა კონფერენციის საქმიანობის გაინტენსიურება? იმიტომ, რომ მოლაპარაკების მექანიზმის მოქმედება სიჩქარის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება გამალებული შეიარაღების სიჩქარეს. იქმნება სახიფათო განსხვავება პოლიტიკურ აზრსა და ნებას, სამხედრო ტექნოლოგიას შორის. იგი შეინიშნება თვით კონფერენციის მატიანეშიც. ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის დადებიდან ხომ 15 წელი გავიდა. გარემოზე სამხედრო მიზნებით ზემოქმედების მოუხდენლობის კონვენცია კი 1977 წელს შემუშავდა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ამ დისპროპორციის დაძლევის გზაა ყენევის ფორუმის მუშაობის სრულყოფაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალში კონფერენცია შეიძლება გადაიქცეს განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების მუდმივ უნივერსალურ ორგანოდ.

რაღა თქმა უნდა, განიარაღების კონფერენცია არ უნდა შეეგუოს იმ მდგომარეობას, როცა მასზე არსებობად არ იხლიავენ, თუმცა კი დღის წესრიგშია, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებს. სწორედ ეს საკითხები უნდა იყოს მისი მუშაობის ცენტრში. სხვაგვარად დღეს არაფერი გამოვა. ბირთვული განიარაღების საკითხს არ შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო წყვეტდეს. ვერც ერთი მთავრობა ვერ დარჩება აქ განზე, რადგან ბირთვული საფრთხე გლობალურია თავისი შედეგებით. მისთვის არ არსებობს არც ეროვნული საზღვრები, არც იდეოლოგიური გამიჯვნა. იგი არც ხეიტროლიტებს ცნობს და არც არავის დაინდობს.

თუ ასეა, უსამართლობა იქნება ბირთვო სახელმწიფოებს მოხალისეობა არ მივაღებინოთ ბირთვული განიარაღების პრობლემათა გადაჭრაში. როგორც არაერთგზის აღუნიშნავს მ. ს. გორბაჩოვს, აქ საჭიროა ძალების მაქსიმალური ინტეგრაციისა და ჰუმანიზმი საერთაშორისო ურთიერთობაში სწორედ ასეთ მიდგომას საჭიროებს.

7 აგვისტო ● საკდესი იუწყება

ᲣᲙᲘᲡᲝᲤᲘᲡᲘ
ფაქტები • მოვლენები

◆ აშშ-პაკისტანი

ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲔᲜ ᲘᲡᲚᲐᲛᲐᲑᲐᲓᲘᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲡ

დელი. რეიგანის ადმინისტრაციამ ყოველნაირად ცდილობს კონგრესს დაამტკიცებინოს მორიგი სამხედრო-ეკონომიკური გარიგება პაკისტანთან და შეინარჩუნოს „განსაკუთრებული ურთიერთობა“ ისლამაბადის რეჟიმთან. ასე აფასებს ინდოეთის პრესა პოლიტიკურ საკმეებში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მ. არმაკოსტის პაკისტანში ვიზიტის შედეგებს.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ აღნიშნავს, არმაკოსტის ვიზიტის მიზანი იყო ისლამაბადისაგან მიეღო ახალ

შოვის საგზური

შოვის საგზური უოაიდარაბოდ შევიძინე. ბევრმა არ ისურვა წელს იქ დასვენება - ამ უმინდობაში, ემანდ კიდევ რაიმე არ მოხდესო, და ქალაქის ბუღში ყოფნა არჩია. შიშის საფუძველი (ძირითადად უგზოობის გამო), რა თქმა უნდა, იყო თავიდან, მაგრამ უკვე თვეზე მეტია იქ დაუბრკოლებლად მოძრაობს ტრანსპორტი და დამსვენებლებიც ნელ-ნელა, გაუბედავად ჩამოდიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან.

ნელ-ნელა ჩამოდიან... მსურველი ბევრია, მაგრამ მაინც ვერ ბედავენ. რაღა აკავებთ? ჭორი, ყოველად უსაფუძვლო ჭორი, ვითომ შოვში რადიაციის მაღალი ფონი იყოს. არ დაგიმალავთ და, რაჭისკენ რომ მივდიოდი, მეც გადმომკრა ერთმა-ორმა: „რა გეშარება, თუ ძმა ხარ, სხვაგან წადიო".. აბა, ერთი ამათ უყურე?.. საინტერესოა, შეამოწმა, დაადგინა ვინმემ ეს ყოველივე? არავინ... მთავარია „ასე ამბობენ"... და მეტიც არ უნდა ამდენი არასასიამოვნო ამბებით ისედაც შეშფოთებულ ხალხს. სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს, საერთოდ, ნამეტანს ვჭორაობთ, თითქოს მეტი საქმე აღარაფერი გვქონდეს...

ყოველნაირად უცდიათ რაჭველებს, რომ უჩვეულო ზამთრისა და სტიქიის შემდეგ შოვი მომზადებული შეხვედროდა საკურორტო სეზონს. აქ თოვლი მვიდ მეტრს აღწევდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა შენობები, ზოგი სეროზულად დაზიანდა კიდეც. ასეთ სიტუაციაში უდიდესი ვაჟკაცობა გამოუჩენია ადგილობრივ მოსახლეობას.

ნახეთ, რას ამბობს კურორტ შოვის დირექტორი, ექიმი ამირან მურუსიძე:

— გაჭირვების ჟამს მართლაც სცოდნია შეკავშირება ჩვენს ხალხს. და რომ არ ემარჯვათ, არც ერთ სახლს სახურავი არ შერჩებოდა. რამდენჯერმე შეკეთდა ონ-შოვის გზა, და რომ გვგონია, თითქოს ყველაფერი უკვე წესრიგშია. ვიღაც ხმებს ავრცელებს: „შოვში რადიაციაა საშინლად მომატებული"... ამაზე მეტი უკეთურობა იქნება? სხვათა შორის რამდენჯერმე გავზომეთ და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ არავითარი რადიაცია არ ურევია ამ ერბოსავით ჰაერს. ა, ძმაო, ერთი თვეა აქა გვყავს ბავშვები მეცა და სხვებს — მომსახურე პერსონალს... ეს საქმეა? საქართველოს უმეტეს რაიონებში სიცხე ლამის ორმოც გრადუსს უკაკუნებს, აქ კი, ამ სიგრილეში ჯერჯერობით სანახევროდაც არ შევსებულა კორპუსები.

* * *

რა ვქნა, როგორ დავმალო: მიმოვდიოდი ამ ზღაპრულ კუთხეში და ჩვენი უსაზღვრო ტრაბახი, სუფრასთან გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოები ჩამესმოდა ულამაზეს საქართველოზე, მის ზღვისპირეთზე, მის მთიანეთზე, იმაზე, თუ როგორ გვიბოძა ღმერთმა ეს აგარაკები დახუნძლული ქვეყანა და რა ბედნიერებაა, რომ მისი შვილები ვართ...

ლაპარაკი — იცოცხლე, საქმე? უმრავლესობამ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რა დღეშია ჩვენი კურორტები? ჩავდიოვართ, ვნახულობთ და სინანულით გადავაქნევთ ხოლმე თავს: „სხვას რომ მისცე, აყვავებდა აქაურობას!.." რატომ სხვას? ეს ხომ ჩვენი საქმეა, საერთო-სახალხო საქმე? გასაგებია, ვულსტკენია, რომ პირდაპირ დაგვაქცია განვლილმა ზამთარმა და გაზაფხულმა, მაგრამ მანამდე სად ვიყავით? მართლა ხომ არ გვგონია, ვინმე დაგვეხმარება? ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ ღვთისგან ასე გულუხვად ბოძებულს. საგანგაშო მდგომარეობაა, მეტადრე, რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებზე. შოვს, მაგალითად, ცნობილმა ექიმმა და რევოლუციონერმა შამშე ლეფავამ რომ ეს ადგილი აღმოაჩინა და პირველი კოტეჯები წამომართა (ოციან წლებში), მას შემდეგ დიდი არაფერი შემატებია. კი, პროფკავშირებმა და ცეკავშირმა ააშენეს კეთილმოწყობილი კორპუსები, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ არსებობდა და აღარ არსებობს პოლიკლინიკა, „მზის აბაზანები", რეგულარულად დამსვენებლებს ემსახურებოდა სასულე ორკესტრი, უზარმაზარი ტერიტორია გრუნტის წყლებით არ იყო დაჭაობებული და საღამოობით კოღოების არ ეშინოდათ დამსვენებლებს, ქუთაისიდან ვერტმფრინავი ამოდიოდა და მგზავრობა გაცილებით ადვილი იყო. და კიდევ, ბევრი რამ იყო, რაც, სამწუხაროდ, დღეს აღარ არის. შოვი, უპირველესად, საბავშვო კურორტია, ბავშვებს კი გასართობად მხოლოდ მარტივი ტიპის ტირის ფარდული აქვთ. როგორც გავიგე, აქ განზრახულია ბავშვთა კუთხეებისა და სპორტული მოედნების მოწყობა, ცენტრალური პარკის გაშენება... ამ ღონისძიებებში, რა თქმა უნდა, მონაწილეობა უნდა მიიღონ კურორტის ტერიტორიაზე განლაგებულმა დარგობრივმა დასასვენებელმა სახლებმა, მონაწილეობა მიიღოს არა მარტო ონის რაიონმა, არამედ მთლიანად რესპუბლიკამ... ვთქვათ, რა დიდი ამბავი უნდა, რომ გზა ონიდან შოვამდე თითო-თითო კილომეტრი გაინაწილონ სხვადასხვა რაიონმა და კეთილმოაწყონ? აქ ხომ ზამთარშიაც არაჩვეულებრივი ბუნებრივი პირობებია დასასვენებლად. რაჭა კურორტების თვალსაზრისით უკვე საკმაოდ მასშტაბურია, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ კურორტმშენმა ონის რაიონში გახსნას უბანი, რომელიც შეასრულებს როგორც ცენტრმენტო, ასევე სამშენებლო სამუშაოებს...

... იცოცხლეთ, კურორტის მომსახურე პერსონალი ყურადღებიანი და გულისხმიერი იყოს. აი, მაგალითად ცეკავშირის პანსიონატი: აქ ახლახან დაუნიშნავთ დირექტორად ოთარ გავაშელი — შუა ხნის კაცმ, სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც ადრე ზემო რაჭის რამდენიმე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შემდეგ კი მეურნეობის დირექტორი ყოფილა. გამრჯე, ნაღდი კაცის სახელი აქვს მთელ ამ კუთხეში ოთარ გავაშელს. აქაც გამოუჩენია ფხა, მისი ინიციატივით ფურნე მოაწყო კურორტმა, ახლა წყარო ჩამოჰყავს მთიდან, რათა პანსიონატს საკუთარი წყალი ჰქონდეს გამუდმებით. „სამწყსოც" სამაგალითო ჰყავს გავაშელს. აქაური კაცის უპირველეს თვისებებს — ზრდილობასა და პატიოსნებას განასახიერებენ ვანო, მარიამ, გენადი, ნარგიზა სულთანიშვილები, თამარ, გოგი ბერიშვილები, ომარ მაისურაძე, ინეზა ნიკურაძე, დოდო ხვედელიძე და სხვები. ასეთი ხალხი ამაგრებს და ინახავს თვალწარმტაც რაჭას...

* * *

თუმცა ამ წერილში აქა-იქ კი გამეპარა ეპითეტები: „ზღაპრული", „საოცარი", „თვალწარმტაცი"... მაგრამ მე მაინც არ ძალმიძს გადმოგცეთ რაჭის, კერძოდ, შოვის სილამაზე... კულტმუშაკ იაში შიმშილაშვილს, საქართველოს სიყვარულით გულანთებულ ონელ ებრაელს იოსებ გრიშაშვილის თბილისისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები გადაუკეთებია და ასე ამღერებდა თავის აკორდეონს: „ჩვენი რაჭა ბეჭედია ბაჯაღლო, და შოვი კი შიგ ჩასმული ბადასხმი"...

ჩეშმარიტად, რომ ასეა.

* * *

... ამ დღეებში გვითხრეს, თუ ისევ როგორ მისძალებია ხალხი შოვს, ფასი დასდებია შოვის საგზურს. მაშ, ჭორს სინამდვილემ აჯობა, ხალხმრავლობა ნუ მოუშალოს ამ კუთხეს!..

3. მარდალეიშვილი.

გასტროლები, გასტროლები...

სოხუმის თეატრი გელორუსიაში

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულმა დრამატულმა თეატრმა 1986-1987 წლების თეატრალური სეზონი დაასრულა ძაქსიმ გორკის ცნობილი პიესის „ფსკერზე" მიხედვით შექმნილი იმპროვიზებული ვარიანტით. ამავე სპექტაკლით სეზონის დახურვამდე ორი კვირით ადრე თეატრმა პასუხსაგები შემოქმედებითი ანგარიში ჩაბარა თბილისელ მაყურებელს.

ახლახან თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ბელორუსიაში, სადაც ქალაქები მინსკი და გროდნო მასპინძლობს. ამ გასტროლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სოხუმელთა კოლექტივი პირველად წარმოადგენს ქართულ დრამატულ თეატრს ბელორუსი მაყურებლის წინაშე.

სათანადოდ არის შერჩეული საგასტროლო რეპერტუარი, რომელშიც შედის როგორც კლასიკა, ასევე თანამედროვე საბჭოთა ავტორების პიესები. მინსკში გასტროლები გაგრძელდება 16 აგვისტომდე, ზოლო გროდნოში ვიქნებით 18 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე. ამ პერიოდში პარალელურად სოხუმის ქართული თეატრის შენობაში გასტროლებს გამართავს გროდნოს სოლქო რუსული დრამატული თეატრი.

ი. გოცირიძე,
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

ჭიათურელები საქართველოს ოსეთში

ჭიათურა. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთში საგასტროლოდ იყო ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ჭიათურელმა მსახიობებმა ცხინვალში უჩვენეს ტ. უილდერის „ჩემი პატარა ქალაქი", გ. ნახუცრიშვილის „ჟინჭრაქა", შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი" და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში", გ. ბათიაშვილის „სიყვარულის სამი ღამე" და ო. იოსელიანის „ურემი გადაბრუნდა".

ცხინვალელმა მაყურებელმ გულთბილად მიიღო ჭიათურელთა სპექტაკლები.

წიგნის თარო

გამოცემლობა „მერანმა" გამოსცა თამაზ ხმალაძის მოთხრობების კრებული „მოლოდინი". ამ ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. ავტორის ფიქრი თავს დასტრალიებს სადღეისო პრობლემებს, ადამიანთა რთული და საინტერესო ურთიერთობის ფონზე ნატავს გარემმცველი სინამდვილის სურათებს.

კრებულის რედაქტორია ტ. მებურიშვილი, მხატვარი — ჯ. ზენაიშვილი.

ოლიმპიადა

ფიზიკოსთა ოლიმპიადა. 8 აგვისტოს ფიზიკოსთა ოლიმპიადა ეძღვნება ფიზიკოსთა ოლიმპიადის 267 ათასი ფიზიკოსი, 92 მილიონი ფიზიკოსი ქალი, 1554 დახურული აუზი, 6 ათასამდე სათხილამურო ბაზა, 10 (1 გადადებული პარტია), 4 ქალაქ ბელიავსკის — 9,5 ... ორი ტურიც და, შეჯიბრება დამთავრდება.

ზაგრებში (იუგოსლავია) ვაჟები თამაშობენ. აქ ხუთი ტურის შემდეგ დაწინაურებულია უნგრელი იოჟეფ პინტერი — 4 ქულა, მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ფილიპინელი ეუგენიო ტორე და იასერ სეირავანი (აშშ). პოლუგაევსკის 2,5 ქულა აქვს (ყველა პარტია ყაიმით დასრულა), იან ელვესტს და ვიიჩესლავ ეინგორნს — 2-2 ქულა და ერთმანეთთან სათამაშო პარტია.

იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში კი გუშინ უნდა გამართულიყო ქალთა საზონათშორისო შეჯიბრების ბოლო, მეჩვიდმეტე ტურის პარტიები.

მოკლედ

ფეხბურთი. „ეალგირისმა" ფერგანის „ნეფტიანიკს" საკავშირო თასის გათამაშების მეორე მეთექვსმეტედფინალური მატჩიც მოუგო (3:0) და მერვედფინალში გავიდა. ამ ეტაპის შეხვედრებს „ეალგირისი" გამართავს ტაშკენტის „ფახთაქორთან" 16 აგვისტოს (ტაშკენტში) და 17 სექტემბერს (ვილნიუსში).

ჩოგბურთი. საფრანგეთის ქალაქ ეკს-ან პროვანსში დამთავრდა 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატი. უფელმა ანდრია ჩერკასოვმა ერთეულთა თანრიგში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება. მანვე კიეველ ვლადიმერ პეტროუშენკოსთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო. 16 წლამდე გოგონთა ასაკის წყვილებში კი უძლიერესთა წოდებას დაუფლნენ კიეველები ნატალია მედვედევა და ელენე ბრიუხოვეცი. გარდა ამისა, მედვედევა მესამე იყო ერთეულთა თანრიგში.



8 აგვისტო ფიზკულტურელის დღეა





ჯანმრთელობისა და სიმხნევის დღესასწაული

დღეს ფიზკულტურელის დღეა — ქვეყნის 267 ათასი ფიზკულტურული კოლექტივისა და სპორტული კლუბის 92 მილიონი წევრის საკავშირო დღესასწაული. საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა. სულ უფრო მტკიცდება ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ იშლება მუშაობა სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესებისათვის. აშკამად საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების განყარგულებაშია 3981 კეთილმოწყობილი სტადიონი, 600 ათასზე მეტი სხვადასხვა სპორტული ობიექტი, მათ შორის 82,9 ათასი სპორტული დარბაზი, 97,7 ათასი საფეხბურთო მინდორი, 407 ათასი სხვადასხვა სპორტული მოედანი, 1554 დახურული აუზი, 6 ათასამდე სათხილამურო ბაზა და მთელი რიგი სხვადასხვა სპორტნაგებობანი, რომელთა საბალანსო ღირებულება 4,5 მილიარდს აღწევს.

ახლა, როცა ნებისმიერ სფეროში — ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობასა თუ მრეწველობაში, კულტურისა თუ სხვა დარგებში გარდაქმნა მიმდინარეობს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ მუშაობაში ძირეულ გარდაქმნებსაც. ცხადია, ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში თავისი ძალისხმევისა და გაათკეცებული ენერგიის წარმოჩენა მართებთ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებსაც. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაშიც ბევრი სასიკეთო რამ კეთდება. იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დაეწაფოს სიჯანსაღისა და სიმხნევის წყაროს — ფიზკულტურასა და სპორტს, ეწყობა სხვადასხვა მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები. ჩვენმა სპორტსმენებმა წლევანდელ სეზონში საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. დღეს მთელი ჩვენი რესპუბლიკა ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაულის აქტიური მონაწილე იქნება: მარტო თბილისში ძალებს სცდიან კომბინირებულ ამანათრბენში, მძლეოსნურ კროსში, შეჯიბრებიან ერთმანეთს ფეხბურთში, ჩოგბურთში, ბაგირის გადაძალვაში, ფრენბურთში, ჭიდაობაში, სმძიმეების აწევაში... ასობით ახალგაზრდა შეეცდება წარმატებით ჩაბაროს მშთ ნორმატივები.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ფიზკულტურელის წლევანდელი დღე არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში სეზონის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას — სპორტულ სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობის დამთავრებას დაემთხვა. სურათებზე სწორედ ამ დიდ ასპარეზობათა მომენტებია ასახული. ერთი დღეც და, ნორჩ სპორტსმენთა დიდი საკავშირო ფორუმი დასრულდება, საბოლოოდ შეჯამდება შედეგები, დაისახება ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის კიდევ უფრო გახვითარების ამოცანები...

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობა საერთო-ეროვნული სიმდიდრეა! სწორედ ამ სიმდიდრის გაათკეცების სადარაჯოზე დგომა, ძალისხმევა გვმართებს ამისათვის, რომ ახლანდელი და მომავალი თაობების ფიზიკური აღზრდა დროის მოთხოვნებს პასუხობდეს.

ჭადრაკის დაფებთან

გრძელდება მოჯადრაკე ვაჟთა და ქალთა მსოფლიო პირველობათა საზონათშორისო ტურნირები.

უნგრეთის ქალაქ სირაკში მიმდინარეობს ვაჟებმა მეთხუთმეტე ტურის პარტიები გაითამაშეს. ამ ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერს, ისლანდიელ ოიან ჰიარტარსონს 11 ქულა აქვს, ვალერი სალოვმა და უნგრელმა ლაიოშ პორტიშმა 10,5-10,5 ქულა დააგროვეს, ინგლისელმა ჯონ ნანმა — 10 (1 გადადებული პარტია), ალექსანდრე ბელიავსკიმ — 9,5... ორი ტურიც და, შეჯიბრება დამთავრდება.

ზაგრებში (იუგოსლავია) ვაჟები თამაშობენ. აქ ხუთი ტურის შემდეგ დაწინაურებულია უნგრელი იოჟეფ პინტერი — 4 ქულა, მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ფილიპინელი ეუგენიო ტორე და იასერ სეირავანი (აშშ). პოლუგაევსკის 2,5 ქულა აქვს (ყველა პარტია ყაიმით დასრულა), იან ელვესტს და ვიიჩესლავ ეინგორნს — 2-2 ქულა და ერთმანეთთან სათამაშო პარტია.

ფესი, რიგი და ჩვენ

გზა გადავუკეტოთ ანგარიშში მოტყუებას

ბართლაც რომ, ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ გარდაბნის რაიკოოპკავშირის საზოგადოებრივი კვების № 94 სასადილოს. 61 მანეთის ნაცვლად მომსახურე პერსონალმა მათ 135 მანეთი უნგარიშა. მაგრამ გამომძალველობა აღკვეთეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მუშაკებმა...

გამოირკვა საყურადღებო დეტალები. ოფიციანტის როლს ასრულებდა დამლაგებელი. ბუფეტის დახლთან იდგა კაცი, რომელიც საერთოდ არ იყო გაფორმებული ამ დაწესებულებაში. მიუხედავად ამისა, სწორედ მან გასცა ბრძანება ანგარიშში მოეტყუებინათ მომხმარებელი, რაც შესასრულა დამლაგებელმა-ოფიციანტმა.

სამმართველოს მუშაკებმა მალე აღმოაჩინეს ანგარიშში მოტყუების ფაქტი გარდაბნის რაიონული კოოპკავშირის იმავე საზოგადოებრივი კვების რესტორან „ვაზიანში". კლიენტებს მოსთხოვეს თითქმის ერთისამად მეტი ფული. და აქაც მებუფეტესთან ერთად კლიენტებს მოტყუებაში მონაწილეობდა გაუფორმებელი პირი-ოფიციანტი.

ორივე ფაქტის გამო გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა. ამიტომ ჯერჯერობით თავს შევიკავებთ გვარების დასახელებისაგან. ისე, კაცმა რომ თქვას, მთავარი ის კი არ არის, ვინ არიან ისინი, არამედ ქაოსი, რომელიც სუფევს სავაჭრო ორგანიზაციებში. რატომ ემსახურებიან მომხმარებლებს ადამიანები, რომლებიც არავის არ გაუფორმებია, ესე იგი, ამ ობიექტთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ? ცხადზე უცხადესია, რომ მათ მატერიალურად უნდა გაემართლებინათ აქ თავიანთი ყოფნა, თან „მოემადლიერებინათ" ისინი, ვინც შეიფარა. და ეს ვის ხარჯზე, ვფიქრობ, სავსებით ცხადია. ასე იქცევა ნორმად ანგარიშში მოტყუება.

რა თქმა უნდა, დარღვევები მარტო გარდაბანში როდია, რაც კარგად იცის ცეკავშირისა და ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ. რაც შეეხება უშუალოდ გარდაბნელებს, მათ სხვა პრობლემებიც ბევრი აქვთ საზოგადოებრივი კვების გარდა. კერძოდ, კუმისის სავაჭრო-საწარმოო კომბინატსის „თქვენი სახლის" გამყიდველმა საშენ მასალებში მყიდველს 234 მანეთით მეტი გამოართვა.

— უნდა ითქვას, — აღნიშნავს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი კობა კობიაშვილი, — საშენ მასალათა ვაჭრობაში იგივე სირთულეები შეინიშნება, რაც საზოგადოებრივ კვებაში. მაგალითად, სულ ახლახან მყიდველს გამოართვეს 408 მანეთით მეტი რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს „საქსაშენმასალათა" გაერთიანების № 17 მაღაზიის ქუთაისის ფილიალში. ამის გამო მოსახლეობა ხშირად სარგებლობს სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა მომსახურებით — ისინი საქონელს უფრო იაფად იძლევიან, ვიდრე სავაჭრო ქსელში ღირს. საცალო ვაჭრობის ის მუშაკებიც კი, რომლებიც მომხმარებლის მოტყუებაში ამხილეს, აცხადებენ, ჩვეულებრივი ნაწარმის მიღებისათვის, დეფიციტურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბაზებში ქრთამს ვაძლევთო. ასეთი ხარჯები, ბუხებრივია, შემდეგ უნდა...

ბოლოს და ბოლოს განახორციელებენ თუ არა ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირში წესრიგის დამყარებისათვის საჭირო ღონისძიებებს? გვინდა იმედი ვიქონიოთ, თორემ წამგლეჯები და დამტაცებლები კვლავაც გაზრდიან თავიანთ უკანონო შემოსავალს და სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ჩაითრევენ გამომძალველობის ჭაობში, რესპუბლიკას კი მუდამ გაუჭირდება საკასო გეგმის შესრულება.

დამფიქრებელია მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც ბოლოს მიიღო სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ: № 94 სასადილო კოოპერატივად გარდაუქმნიათ, წევრები კი... საზოგადოებრივი კვების ამ ობიექტის იგივე მუშაკები არიან.

3. იარალოვი,
ხაჭიფორმის კორ.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ორშაბათი, 10 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. პოლანდიური მხატვრული ფილმი „მარტინი და ჯადოქარი". 17.55 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.10 — განცხადებები. 18.15 — ჩვენი თანამედროვის პორტრეტი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „გორელი მებაღე" (საქართველოს ტელევიზიის სტუდიის ნაწარმოები) და „ოსტატი" (რიგა) (მ.). 18.55 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალის დღიური. 19,20 — ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ხორციელდება — „მართვის რეფორმა — ენთუზიაზმიც, მატერიალური დაინტერესებაც" (სტუდიაშია პროფესორი გ. გოშაძე). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — საერთაშორისო დღიური. 21.05 — სტუდია „დიალოგი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროექტორი (მ.). 22.50 — ქართული კომედიის საღამო. 23.40 — კონცერტი.

მეორე პროგრამა. 18.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მონოლოგი პუშკინზე". 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რთული გზა". 19.25 — განცხადებები. 19.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წეროები". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „თეთრი და შავი ჯადოქრობა".

სამშაბათი, 11 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ზეზე ჯიბეში". 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი". 18.15 — განცხადებები. 18.20 — კონცერტი — „მხიარული მელოდიები". 18.50 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი. „სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა". 19.05 — „გარდაქმნის კურსით". სოციალისტური შეჯიბრება — ახალ საფეხურზე. 19.55 — მოამბე. 20.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა თურქმენეთი". თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა. (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროექტორი (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. ბილი ჯოელი (ტელემონტაჟი ლოს-ანჟელესი — თბილისი).

მეორე პროგრამა. 18.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუბიშევი". 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი საათი კოზნიცევთან". 19.55 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „მოელვარე სამყარო".

ოთხშაბათი, 12 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.30 — მოამბე. 10.05 — საერთაშორისო დღიური. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საგმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ბოლოს ზარი". 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი". 18.15 — განცხადებები. 18.20 — კონცერტი — „მხიარული მელოდიები". 18.50 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი. „სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა". 19.05 — „გარდაქმნის კურსით". სოციალისტური შეჯიბრება — ახალ საფეხურზე. 19.55 — მოამბე. 20.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა. (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი (მ.). 22.50 — „ბოლოდროინდელი". (ბაზალეთის ტელევიზიის პროგრამა). 13.35 — ციკლიდან „დაიბეჭდა ილიას ვიზით". 14.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი. 15.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.05 — „გლობუსი". 15.55 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.40 — თრიალეთური კულტურის ახალი შენაძენი — დმანისის მიწის საგანძური. 17.25 — მოამბე. 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. სოხუმის „დინამო" — ხარკოვის „მეტალისტი". რეპორტაჟი სოხუმიდან. შესვენების დროს (18.45) — „შუქნიშანი". 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე: თბილისის „დინამო" — ლენინგრადის „ზენიტი". რეპორტაჟი „დინამოს" სტადიონიდან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — მხატვრული პროგრამა. 0.20 — „შუაღამის შემდეგ". საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა (მ.).

კვირა, 16 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.35 — მოამბე. 10.10 — „ფილა მშვიდობისა!" — საკავირო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, გარდაქმნები. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — საკავირაო გამოფენა. ვ. ცხოვრებოვი. 12.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი. 12.20 — საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა). 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.10 — საკვირაო გამოფენა. ვ. ცხოვრებოვი. 13.15 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა". 14.05 — „ახალგაზრდების ხელოვნება". ნინო ლაპაშვილი. 15.00 — საკვირაო გამოფენა. ვ. ცხოვრებოვი. 15.05 — ვესტნიკი. 15.35 — საესტრადო პანორამა. 16.25 — საკვირაო გამოფენა. ვ. ცხოვრებოვი. 16.30 — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „სანამ ფრენა დადაბრუნდება". 18.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სადღესასწაულო". 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მწერალი და ცხოვრება". 21.20 — „თბილისი კრასნოდარის მხარეში". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილის ეკრანი". მხატვრული ფილმი „ყველაზე სათნო და მიმზიდველი".

— „სტუდია დიალოგი". შეხვედრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ი. მენაღარიშვილთან). 21.50 — ქართველოს სანაკრები — „ბორბალი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი" (მ.). 22.50 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „ძვირფასი, საყვარელი, ერთადერთი".

მეორე პროგრამა. 15.50 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ანატოლი პაპანოვთან". 17.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური". 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე". 20.00 — მოამბე. 20.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

შაბათი, 15 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი". 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება" (უკრაინა). 10.50 — მულტიპლიკაციური ფ